05/03/2025

MES 6 25 0000240521

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 27.02.2025
სხდომის დაწყების დრო: 17:11
სხდომის დასრულების დრო: 19:35
სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
2. **დავით ტეფნაძე** - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
3. **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
5. **აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
8. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

9. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
10. **ვასილ კიკუტაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
11. **დიანა მჭედლიშვილი** –შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
13. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის” ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ანა ჯავახიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
2. **გვანცა ძიძიგური** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
3. ქეთევან ინანაშვილი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

- **არჩილ ჯანგირაშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- **გიორგი უშიკიშვილი** - ქართული ტრადიციული ხელოვნების მიმართულებით პროგრამების ხელმძღვანელი; **გიორგი ალიმბარაშვილი** - პროგრამის თანახელმძღვანელი;
- **ნინო მახათაძე** - პროგრამის თანახელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

- **ეკატერინე გელიაშვილი;**
- **თამთა ლეკიშვილი;**
- **ლიკა კვინჩია.**

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა თუთბერიძემ
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა

უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27[5]-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ვინაიდან საბჭოს სხდომას ვერ ერსწრებოდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, რამუნე ბალევიჩიუტე-ლიუგიენე, მის მიე წარმოდგენილი პოზიცია საბჭოს წევრებს გააცნო თარჯიმანმა, ლაშა მაჭარაშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით საგანმანათლებლო პროგრამა გამორჩეულია, როგორც ინოვაციური ინიციატივა, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალიზებულ აკადემიურ განათლებას იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც წარმატების

მიღწევას ესწრაფვიან მსოფლიო ხალხთა ცეკვების მიმართულებით. პროგრამა 3 წლიანია და მისი სასწავლო გეგმა მოიცავს ძირითად კურსებსა და მრავალფეროვან არჩევით საგნებს, რომელნიც სტუდენტთა ინდივიდუალური ინტერესებისა და კარიერული მისწრაფებების გათვალისწინებითაა შერჩეული. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრაქტიკული კურსის კომპონენტს, საშემსრულებლო წარმოდგენების, პრაქტიკული დავალებებისა და კვლევითი ექსპედიციების საშუალებით, რაც პროგრამის კურსდამთავრებულებს უვითარებს კულტურულ დაწესებულებებსა და საგანმანათლებლო ორგანიზაციებში წარმატებული კარიერისთვის საჭირო უნარებს. უშუალოდ ვიზიტი 2024 წლის 13 დეკემბერს განხორციელდა. შეხვედრების დროს გაიმართა დისკუსიები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რამაც ფასეული ინფორმაცია მისცა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის პოტენციურ გავლენასა და მნიშვნელობაზე ამ სფეროში. თუმცა გამოვლინდა გარკვეული მიმართულებები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას. თვითშეფასების ანგარიშში შეფასებისას მიღებულ ინფორმაციებს შორის არსებულმა შეუსაბამობებმა აჩვენა, რომ საჭიროა გარკვეული კომუნიკაციისა და კორდინირების გაძლიერება ადმინისტრაციასა და პროგრამის ხელმძღვანელებს შორის. ექსპერტთა ანალიზი ცხადყოფს, რომ მიუხედავად სწავლის ხარისხის არსებობის მყარი საფუძველისა, აუცილებელია შემდგომი განვითარება სასწავლო გეგმის დამკვიდრების, სწავლის შედეგების თანმიმდევრულობისა და რესურსების დანაწილების მიმართულებით. რეკომენდებულია ბაზრის კომპლექსური კვლევის განხორციელება, რათა პროგრამის მიზნები უკეთესად შეესაბამებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და გაძლიერდეს სასწავლო სტრუქტურა, მისი თანმიმდევრულობა. მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული პროგრამა მნიშვნელოვან პოტენციალს ავლენს, ექპერტებმა მიიჩნიეს, რომ რიგი რეკომენდაციების გაცემა იყო საჭირო პროგრამის საერთო ეფექტურობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული მიმართულებების გათვალისწინებით, საქართველოს უნივერსიტეტს შეუძლია კიდევ უფრო მეტად განამტკიცოს თავისი პოზიცია ქორეოგრაფიული განათლების სფეროში.

ექსპერტი, ეკატერინე გელიაშვილი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან ყურადღება გაამახვილა პროგრამის სტრუქტურასა და მის მოცულობაზე. მისი განმარტებით, თავად დარგი არის სპეციფიკური და სინთეზური, თუმცა მოითხოვს რიგი სპეციალობების მიმართლებით სასწავლო კურსების დამატებას, რასაც წარმოდგენილ პროგრამაში ვერ უზრუნველყოფს უნივერსიტეტი. ექსპერტის განმარტებით საგანმანათლებლო პროგრამა არის მოკლე, სამწლიანი (180 ECTS), რამაც შესაძლოა აღნიშნული პრობლემა გამოიწვია, გარდა ამისა ყველა სასწავლო კურსი განსაზღვრულია 6 კრედიტის მოცულობით, რაც რეალურ საჭიროებას არ წარმოადგენს ზოგიერთ შემთხვევაში. რაც შეეხება სწავლის შედეგებს მისი განმარტებით თვითშეფასების დოკუმნეტის, საგანმანათლებლო პროგრამასა და კურიკულუმის რუკაში წარმოდგენილი იყო სხვადასხვანაირად. ექსპერტებისთვის გაუგებარი იყო რაოდენობა და მათ შორის შეუსაბამობა. რეკომენდაციები იყო მიღების წინაპირობებთან დაკავშირებითაც, რომელიც დაწესებულებამ გაითვალისწინა, რაც გამოჩნდა არგუმენტირებულ პოზიციაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი უშიკიშვილმა აღნიშნა, რომ თუ იმ კურსებს, რომლებიც 90-იანი წლებში არსებობდა იდენტურად გადმოწერს დაწესებულება, მაშინ ის დაკარგავს ინდივიდუალურობას, რაც ახასიათებს აღნიშნულ კურსს. უნივერსიტეტს აქვს სწავლის თავისი სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია ინდივიდუალური სახის წარმოჩენაზე. მეტი აქცენტი კეთდება პრაქტიკულ ნაწილზე, რადგან მნიშვნელოვანია ქორეოგრაფს თეორიულ ცოდნაზე მეტად პრაქტიკული ცოდნა ჰქონდეს, თუმცა, რა თქმა უნდა, თეორიულიც უნდა გააჩნდეს. უნივერსიტეტის მთავარი მიზანია უფრო მეტი ავთენტური ნიმუშების აღდგენა, მეტი ქორეოგრაფების აღზრდა. ეს პროგრამა უზრუნველყოფს, რომ აღდგეს ის ტრადიციები, რაც არსებობდა, რომლებიც ქართველთათვის

მეტად მნიშვნელოვანია. დაწესებულება ორიენტირებულია იმაზე, რომ სპეციალობა, რომელიც კურსდამთავრებულს ექნება, იმაში იყოს ერთ-ერთი საუკეთესო. შედეგებთან დაკავშირებით კი აღინიშნა, რომ ეს არის ინდივიდუალური, პროგრამა,რომელიც აძლევთ მათ ზოგად განათლებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა ექსპერტის მიერ ნახსენებ კომპეტენციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ეს კომპეტენციები ასახული აქვს, თუმცა არის გარკვეული სილაბუსები, „ქორეოგრაფია თეატრში“ და „კოსტუმების ისტორია“, რომლებზეც დაწესებულებამ რეკომენდაცია ნაწილობრივ გაითვალისწინა, რადგან ეს იქნება შეთავაზებული არჩევით საგნებად. სტრუქტურა და პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს ყველაფერი არის რეგულირებული. მიზეზი იმისა თუ რატომ გახდა 3 წლიანი პროგრამა არის ის, რომ დაწესებულების მიზანია გაზარდოს პროფესიონალი ქორეოგრაფები ქართულ ან მსოფლიო ხალხთა ქორეოგრაფიის მიმართულებით. შესაბამისად, რეკომენდაციაში ნახსენებ სტრუქტურის შეცვლას დასაბუთება სჭირდება თუ რა მიმართულებით და რატომ. კოორდინაციას დაწესებულებას, პროგრამის ხელმძღვანელობასა და განმახორციელებელთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საქართველოს უნივერსიტეტს აქვს ბევრი ისეთი პროგრამა, რომელიც მისი მისიიდან გამომდინარე არის წარმოდგენილი. ქართულ ცეკვასა და ქართულ სიმღერას აქვს სერიოზული პრობლემები ქვეყანაში, რომელიც გადარჩენისთვის საჭიროებს აკადემიურ დამუშავებას. შედეგებთან მიმართებით დაწესებულებამ მიიღო გარკვეული რეკომენდაციები. არის 2 მიმართულება „მსოფლიო ხალხთა ცეკვები“ და „ქართული ქორეოგრაფია“, ამიტომ შედეგები არის ცოტა ვრცლად წარმოდგენილი, თუმცა ეს მარტივად გამოსწორებადია. შინაარსთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციაში წარმოდგენილი არგუმენტი, რომ კურიკულუმის რუკა არ არის წარმოდგენილი, არის ყოვლად მიუღებელი დაწესებულებისთვის, რადგან არ არის ახსნილი და განმარტებული თუ რატომ არ გადის შედეგი კომპეტენციაზე, ამასთან უნივერსიტეტს შეუძლია აღნიშნული რუქა საერთოდ არ წარადგინოს.

ექსპერტმა, ეკატერინე გელიაშვილმა აღნიშნა, რომ დარბაზთან დაკავშირებით საუბარი იყო სიდიდესთან, რადგან ჯგუფში ინდივიდუალური პრაქტიკები არის მინიმუმ 2-ჯერ ჩასატარებელი, საუბარი იყო იმაზე, რომ მინიმალურ პირობებს აკმაყოფილებდა. ასევე, საჭიროა ქორეოგრაფიულ გაკვეთილზე ადამიანთა უსაფრთხოების ზომები, რომელიც ითვალისწინებს მოძრაობების შესრულების დროს უსაფრთხოებას, რომლის დოკუმენტიც არ იყო წარმოდგენილი. კურსებთან დაკავშირებით გაკეთდა განმარტება, რომ კურსდამთავრებულ ქორეოგრაფებს უნდა ჰქონდეთ ინკლუზიური ცეკვის სწავლების გამოცდილება მინიმალურ დონეზე მაინც. დაწესებულება ზრდის დამდგმელ ქორეოგრაფებს და ის აუცილებლად უნდა ერკვეოდეს ელემენტარულ დონეზე მაინც იმ დეტალებში, რაც წარმოდგენილი არის კურსებში, რომელიც საორიენტაციოდ წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფმა. ხელმძღვანელის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით დოკუმენტაციაშიც იყო აღნიშნული, რომ ცუდად კვალიფიცირდა თარგმანის თარგმანი. მოწოდებული პირადი საქმეებიდან გამომდინარე იყო ხარვეზები, რაც აღინიშნა დასკვნაში, თუმცა მათ კვალიფიკაციაში ეჭვი არავის შეუტანია. კურიკულუმის რუკასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტანდარტი დაწია შედეგების არაკომპაქტურმა გაწერამ და განსხვავებულობამ დოკუმენტაციაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ არც ზეპირი კომუნიკაციის დროს და არც დასკვნის პროექტში ასე არ იყო დასმული საკითხი. რაც შეეხება მინიმალურ კომპეტენციებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ არსებული კურსებით თეორიულად მნიშვნელოვანი საკითხების დაფარვა, რა თქმა უნდა, ხდება. ამას უზრუნველყოფს შემდეგი კურსები, მაგალითად, „სცენა და სცენის ტექნიკური აღჭურვილობა“, „ქორეოგრაფიის მუშაობა მხატვართან“, „ქორეოგრაფიული ნაწარმოების სცენოგრაფია“ და ა.შ. უსაფრთხოების დოკუმენტთან დაკავშირებით ხაზი გაესვა იმას, რომ ის გაგზავნილი და გაზიარებულია, რომლის ლინკიც ხელმისაწვდომია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. 1.4 სტანდარტში რეკომენდირებულია, რომ პროგრამაში მეტი ყურადღება დაეთმოს საერთაშორისო გამოცდილებას, ინტერნაციონალიზაციის საკითხებს და ამ სფეროში არსებულ თანამედროვე მიღწევებს. მას აინტერესებდა იყო თუ არა საკმარისი ის კონცეფცია, რაც წარმოდგენილი აქვს უნივერსიტეტს და სურდა რეკომენდაციის მეტად კონკრეტიზაცია. ასევე 1.5 სტანდარტში არსებულ რეკომენდაციაში საუბარია, რომ უნდა იყოს საკვალიფიკაციო ნაშრომი და მას აინტერესებდა თუ რა ტიპის ნაშრომი არის მოაზრებული ამ შემთხვევაში.

ექსპერტთა ჯგუფის წერვმა, ეკატერინე გელიაშვილმა განმარტა, რომ თვითშეფასების ანგარიშსა და პროგრამაში არ ეწერა, რომ სტუდენტი კურსს ხურავს საკვალიფიკაციო ნაშრომით. დამამთავრებელი სემესტრის სილაბუსი ისე არის გაწერილი, რომ არ შეესაბამებოდა იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ის იყო ჩვეულებრივი, რიგითი სასწავლო კურსის შედეგები და შინაარსი, თუმცა ეს გაწერილი იყო ცალკე დოკუმენტაციაში.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა აღნიშნა რომ 2.1 ნაწილის რეკომენდაციაში არის მოთხოვნა 2 ნაწილიან ტურზე ქულების გადანაწილების შესახებ. მას აინტერესებდა თუ რას ეყრდნობოდა ექსპერტთა ჯგუფი ამ რეკომენდაციების გაცემის დროს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ეკატერინე გელიაშვილმა აღნიშნა, რომ აბიტურიენტმა დეტალურად უნდა იცოდეს თითოეულ დავალებაში რამდენ ქულას იღებს. რეკომენდაციაში ამის ჩაშლაზე იყო საუბარი. მეორე ნაწილში კი ყველა დავალება პროფესიულად ისეთი არის გაცემული, რომელიც ავლენს მოცეკვავის თანდაყოლილ უნარ-ჩვევებს.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით კვლავ ექსპერტებს მიმართა. მას იანტერესებდა დეტალური ინფრმაცია პერსონალის სამეცნიერო -კვლევით საქმიანობის შედეგების შესახებ, რეზეც ექსპერტებმა რამდენჯერმე მკაფიო აქცენტი გააკეთეს დასკვნაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პრაქტიკული კურსებისთვის არ არის სავალდებულო იყოს მაღალი აქტივები სამეცნიერო საქმიანობაზე, თუმცა პერსონალმა უნდა გააძლიეროს მუშაობა ამ კუთხით, რადგან საუბარია აკადემიურ ხარისხზე.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა აღნიშნა, რომ არის რეკომენდაცია, სადაც მოთხოვნაა გამოიკვეთოს საგამოცდო საკითხები, რადგან საგამოცდო საკითხები სილაბუსში არ იწერება, მას აინტერესებდა რა იყო მიზეზი ამ რეკომენდაციის გაცემის.

ექსპერტმა, ეკატერინე გელიაშვილმა განმარტა, რომ ისინი თემატიკას გულისხმობდნენ. ანალიზის დროს შეიმჩნა, რომ სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალს აქვთ შაბლონი, რომლითაც ყველა ხელმძღვანელობს. ხშირ შემთხვევაში ის მორგებული არ არის სასწავლო პროგრამასთან. საკითხები უნდა იყოს განსაზღვრული, რის მიხედვითაც ხდება სტუდენტის შეფასება გამოცდაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსში მითითებულია კონკრეტული თემები, რომლითაც ხელმძღვანელობენ ლექტორები. უნივერსიტეტში საგამოცდო საკითხების პირდაპირ განთავსება არ ხდება. რაც შეეხება პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, შიდა ტურები იმიტომ არ იყო განხაზღვრული, რომ მინიმალური რეგულირება აქვს და ამიტომ ასე გადაწყვიტეს პროგრამის განმახორციელებლებმა. თუმცა დასკვნის პროექტის პროცესში გაიგზავნა დოკუმენტაცია, სადაც აღნიშნულია, რომ დაწესებულებამ ეს რეკომენდაცია გაითვალისწინა ყველა იმ საკითხთან მიმართებით, რაც ტურებს ეხებოდა. საკვალიფიკაციო ნაშრომი უნივერსიტეტს თავშივე ჰქონდა მოაზრებული, რადგან არის უფრო პრაქტიკული მიმართულება ეს ყოფილიყო უფრო სადადგმო და მისი კომპეტენცია უფრო გაზარდა დაწესებულებამ. შესაბამისად, 6-ის ნაცვლად 9 კრედიტიან კომპეტენციაში გადავიდა, რადგან ის მოითხოვს მეტ თეორიულ და პრაქტიკულ ჩართულობას.

გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. 1.1 სტანდარტში რეკომენდებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, პროგრამის მიზნების

დადგენისას. მას აინტერესებდა, დაწესებულების წარდგენილ შრომის ბაზრის კვლევას ექსპერტები გაცდნენ და არასაკმარისად მიიჩნიეს თუ კიდევ სხვა კვლევა არსებობს და იმის გათვალისწინებით უნდა ეხელმძღვანელათ.
ეკატერინე გელიაშვილმა განმარტა, რომ კვლევა წარმოდგენილი იყო თავიდანვე მასალებთან ერთად, თუმცა ის არის მეტისმეტად აბსტრაქტული და ზედაპირული. ნაკლებად დასაბუთებული იყო დოკუმენტაციით. თუმცა დამხმარე წყაროების მოთხოვნის მიუხედვად, ინფორმაციის მიღება ვერ მოხდა დაწესებულების მიერ.
საბჭოს წევრმა კითხვით დაწესებულებას მიმართა. მან აღნიშნა, რომ ფინანსურ მენეჯმენტში ბიუჯეტი დათვლილია 22 სტუდენტზე. მას აინტერესებდა ეს რაოდენობა საიდან გამომდინარეობს და თუ არ იქნება 22 და იქნება ნაკლები, მაშინ რა მოცემულობა იქნებოდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბაზრის კვლევისას გამოჩნდა, რომ პროგრამის პოტენციური მსურველები არსებობენ, შესაბამისად აქედან წამოვიდა გარკვეული ნუმერაციაც. თუ ნუმერაცია იქნება ბევრად ნაკლები, მაგალითად 4, პროგრამა მაინც გაიხსნება, რადგან არსებობს გარკვეული პროგრამები, რომლებიც არის დოტაციური და უნივერსიტეტი ასეთ პროგრამებს ანხორციელებს. ასევე მზად არის დაწესებულება, ქართული ფოლკლორის გადარჩენის მიზნით გადაამზადონ და ასწავლონ მსურველებს ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა, რომელიც დაფინანსდება დაწესებულების ბიუჯეტით,
თამარ ტუფინაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. პროგრამაში წერია, რომ მისი მოცულობა 180 კრედიტია, პროგრამის ძირითადი კურსები არის 120 კრედიტი, ამაზე დამატებით სტუდენტი რომელიმე მოდულიდან იღებს 24 კრედიტს, პროგრამის არჩევით კურსებს აქვს 24 კრედიტი და ამას ავსებს თავისუფალი კომპონენტის კურსები. მას აინტერესებდა პროგრამა თუ ითვალისწინებს თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არ ითვალისწინებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:34
დასრულების დრო: 19:34

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მნიჭების საკითხი 1 წლისა და 6 თვის თავზე მონიტორინგის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 1 წლისა და 6 თვის თავზე ვადაში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 19:35 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა